პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი

№ 267 (13959) | სამშაბათი, 14 ნოემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ხუთწლიანი—ვადამდე!

„ხუთწლიან გეგმას შევასრულებთ 1970 წლის 7 ნოემბრისათვის!" მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ამ მოწოდებას ფართოდ გამოეხმაურნენ ჩვენს ქვეყანაში.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ წერილს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შრომითს საქმიანობაზე, იმაზე, თუ რა კარგად იყენებს კოლექტივი შიდა რეზერვებს და წარმართავს მათ ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად.

რედაქცია კვლავ გამოაქვეყნებს წერილებს იმ მოწინავე საწარმოთა შრომითს წარმატებებზე, რომლებიც გამოეხმაურნენ მოსკოველთა ამ მოწოდებას და დადგნენ ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეული შეხვედრის საპატიო ვახტზე.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს მოგვითვლის

ამ დღეებში საბჭოთა ხალხმა მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად უდიდესი ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის სახელოვანი იუბილე. ჩვენი ქვეყანა ამ მიზშვენელოვან თარიღს შეხვდა არნახული წარმატებებით. რუსთაველ მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს გვეამაყება, რომ ამ საერთო გამარჯვებებში ჩვენი წვლილიც არის. მაგალითად, საერთო პროდუქციის წარმოების ათი თვის დავალება 105,5 პროცენტით შეგასრულეთ. დავალების გადამეტებით ვაწარმოეთ ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი. დაზოგილი ლითონისაგან გავგლინეთ 65 ათასი კილომეტრი მეტრი მილი.

უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარზე ავითვისეთ ზოდების ჩამოსხმა. უკვე ჩამოსხმულია ათასობით ტონამდე ახალი პროდუქცია. გაწეულია 8.280 ტონა პირობითი სათბობის ეკონომია. აგრეთვე რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით დაზოგილია 770.000 მანეთი. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მეთოდების გამოყენებით შრომის ნაყოფიერება გავზარდეთ გეგმასთან შედარებით 7,4 პროცენტით. წელს პირველად ვმუშაობთ რენტაბელურად, უკვე მივიღეთ სამნახევარი მილიონი მანეთი მოგება.

მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის ამ დღეებში გადმოგვეცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ პროფსაბჭოს სამახსოვრო სიიუბილეო დროშა, ამასთან საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მიმდინარე წლის პირველი და მესამე კვარტლის მაჩვენებლების მიხედვით მოვიმოგვეთ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროსა და მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

როცა ამ წარმატებებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ ის ადამიანები, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქარხნის საერთო საქმეში. ეს უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ საყოველთაოდ აღიარებული მეტალურგები ს. ნადირაშვილი, ზ. ყაველაშვილი, ა. ფანცულაია, მ. სპანდერაშვილი, მ. კეკვაძე, გ. მაღლაფერიძე, შ. ხანიშვილი, პ. ბენდიანიშვილი და მრავალი სხვა.

ამ ბოლო ხანებში ქარხანაში მრავალი ტექნიკური სიახლე განვახორციელეთ, რამაც საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვეზარდა პროდუქციის წარმოება, აგრეთვე გაგვიუმჯობესებინა სხვა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. ავიღოთ თუნდაც ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის რთული დანადგარ-მოწყობილობის ათვისება. ეს ხომ პირველია საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

მნიშვნელოვან ღონისძიებათაგან აღსანიშნავია აგრეთვე ალუმინით დაფარული მილების წარმოება, რაც წარმატებით ავითვისეთ. ასეთი მილების გამოყენებაზე უდიდეს მოთხოვნილებას აყენებს ნავთობის მრეწველობა. ასევე წარმატებით განვახორციელეთ მაღალი სიმტკიცის სხვადასხვა დიამეტრის მილების წარმოება, რასაც გამოყენება აქვს ჭაბურღილების მშენებლობაში და ქიმიურ მრეწველობაში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოქსქიმიურ საამქროში კოლოიდური გოგირდის ათვისებას. აღნიშნული პროდუქცია უახლოეს ხანში გაეგზავნება ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას, როგორც საუკეთესო საშუალება მცენარეთა დაავადების წინააღმდეგ.

ყველაფერი ეს კარგია. მაგრამ ჩვენს წინაშე მიმდინარე ხუთწლედში უფრო პასუხსაგები ამოცანებია დასაბერი. მართალია, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს საკმაოდ მაღალი წარმატებებით შეეხვედით, მაგრამ საიუბილეო წელი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მთელი ჩვენი კოლექტივის მიზანი ახლა ის არის, რომ მოსკოველთა მოწოდებისამებრ წარმატებით დავამთავროთ მიმდინარე სამეურნეო წელი, ხოლო შემდეგ ორგანიზებულად მოვაწყოთ ლაშქრობა ახალი ხუთწლიანი გეგმის ზღვდეების ასაღებად, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ამჟამად ქარხნის კოლექტივი წყვეტს მრავალ საბრძოლო საკითხს. აგლოსაბრძმედი საამქროში ვითვალისწინებთ ნავთობის კოქსის გამოყენებას, რაც პირველი იქნება სამამულო მეტალურგიის ისტორიაში. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები, რათა ფოლადის უწყვეტ დანადგარზე დროულად ავითვისოთ მრგვალი და კვადრატული ნამზადების ჩამოსხმა. ეს კი მთლიანად გამორიცხავს დგანების — „1000"-ის და „900"-ის ტექნოლოგიურ პროცესებს და საბოლოო ანგარიშით დიდძალ ფულად ეკონომიას მოგვცემს. მიღსაგლინავი დგანის — „140"-ის სრული ავტომატიზაციით, რაზეც ახლა ვმუშაობთ, მიმზიდველოვნად გავზრდით მილების წარმოებას და ავამაღლებთ ხარისხს. გათვალისწინებული გვაქვს საგლინმერაციო დანადგარების მთლიანი ავტომატიზაციაც.

ჯერ კიდევ ხუთწლედის დასაწყისში ჩვენი ქარხნის კოლექტივი გამოვიდა რესპუბლიკის საწარმოებსა და მეცნიერ მუშაკებს შორის ერთიერთ კავშირის დამყარების ინიციატორად. ამ მხრივ აღებული ვალდებულებანი დაბეჯითებით სრულდება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ამ ინიციატივას ფართოდ დაუჭირეს მხარი სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა: დღეგზს — ვითანამშრომლოთ მეცნიერებთან — ჩვენ ამჟერადაც წინა პლანზე ვაყენებთ და მომავალშიც მეცნიერებთან ერთად მრავალ საინტერესო და რთულ პრობლემას გადაეწყვეტთ.

ჩვენ ამ დღეებში ერთხელ კიდევ შეეამოწმეთ ჩვენი შესაძლებლობანი და საერთო კრებაზე ვიკისრეთ შემდეგი ვალდებულებანი:

1. მიმდინარე წლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმა შევასრულოთ 25 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით დავამზადოთ ათასობით ტონა მეტალურგიული პროდუქცია.

2. წლის ბოლომდე ავითვისოთ სამკუთხა პერიოდული არმატურის გამოშვება, რაც 20-25 პროცენტით შეამცირებს ლითონის ხარჯს მშენებლობაში.

3. დავნერგავთ მაღალი სიმტკიცის მილების თერმომექანიკურ დამუშავებას, რის შედეგად საშუალება მოგვეცემა დაბალი სიმტკიცის ფოლადისაგან მივიღოთ მაღალი სიმტკიცის მილები.

4. სატესტო-ტაციოდ მოვამზადებთ მილების ცივად გაგლინვის დგანების ახალ სიმძლავრეებს და დავამთავრებთ მილსაადიდვო დგანების რეკონსტრუქციას.

5. წლის ბოლომდე მივიღებთ 5 მილიონამდე მანეთი ეკონომიას, აგრეთვე დავზოგავთ 9 ათას ტონა პირობით სათბობს, 2 მილიონ 800 ათას კილოვატ-საათ ელექტროენერგიას.

6. ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოვუშვებთ 10 ათას ტონა თუჯს, ათეულ ათასობით ტონა ფოლადს, მზა ნაგლინს და მილებს.

7. შრომის ნაყოფიერებას გეგმასთან შედარებით გავზრდით 4 პროცენტით, დავნერგავთ 2.900 რაციონალურ წინადადებას, რომლის ეკონომიური ეფექტი 4 მილიონი მანეთი იქნება, გავწევთ 20 ათასი ტონა პირობითი საწვავისა და 10 მილიონი კილოვატ-საათ ელექტროენერგიის ეკონომიას.

8. მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით რეკონსტრუირებული იქნება ფურცელსაგლინავი საამქროს, რკინიგზის და საორთქლმავლო დეპოს მუშათა სასადილოები. იაღლუჯის მთაზე გავიყვანთ საბავშვო ბაღს და ავაშენებთ მუშათა დასასვენებელ კომპლექსს.

ვიღებთ რა ამ სოციალისტურ ვალდებულებებს, ჩვენ მიგვანჩინა, რომ მათი შესრულება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გონივრულად გამოვიყენებთ ჩვენს შესაძლებლობებს, მოწინავე ტექნიკასა და ტექნოლოგიას, მეცნიერულ მიღწევებს, ფართოდ დავნერგავთ სოციალისტური შეჯიბრების ახალ ფორმებსა და მეთოდებს, უკეთ მოვაწყობთ შრომას.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის დავალებით: ს. შარაძენიძე — ქარხნის დირექტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი, პ. ბაძრაძე — პარტიული კომიტეტის მდივანი, ო. სულაძე — მთავარი ინჟინერი, ზ. კვახაძე — საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე, ხ. ნიკოლეიშვილი — კომკავშირის კომიტეტის მდივანი, პ. წერეთელი — მილსაგლინავი საამქროს უფროსი, შ. ლიბრაძე — მარტენის საამქროს უფროსი, ბ. ზასლავსკი — საგლინავი საამქროს უფროსი, ო. ხოფერია — მოლადიდვის საამქროს უფროსი, ბ. სებისკვერაძე — მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რ. უანდიაშვილი — უფროსი მექურე, ი. ბოლიკო — ღუმელის მემანქანე.

• • •

განუწყვეტლივ ამოდის ბოლი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილებიდან, მოდის ქართული ფოლადი, თუჯი, ნაგლინი, შორიდან მოსჩანს მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქი რუსთავი.

სურათზე: ბოლავენ რუსთავის მილები.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

„ოქტომბრის 50 წელი და საერთაშორისო მუშათა კლასი"

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მოსკოვში

13 ნოემბერს კონფერენციაზე გრძელდებოდა დისკუსია 50 წლის განმავლობაში მუშათა კლასის განვითარებისა და მსოფლიო რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე მისი ზეგავლენის იქტიურ პრობლემათა შესახებ.

კრემლის თეატრში, სადაც გაიმართა მორიგი პლენარული სხდომა, საბჭოთა კავშირის მეცნიერებთან ერთად შეიკრიბნენ მრავალი საზღვარგარეთელი სტუმარი, მომქმე პარტიათა ხელმძღვანელი მოღვაწეები, მუშათა, დემოკრატიული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფალანგის წარმომადგენლები.

პირველი გამოვიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი, ჟაზეთ „ლუმანიტეს" პოლიტიკური დირექტორი ეტიენ ფეაონი. თავის მოხსენებაში „ოქტომბრის რევოლუცია და მუშათა მოძრაობის განვითარება საფრანგეთში" მან აღნიშნა, რომ დიდმა ოქტომბერმა ხელი შეიწყო საფრანგეთის მუშათა მოძრაობის განახლებას, სოციალიზმისათვის ბრძოლის თანამედროვე პირობების შექნას. სწორედ ოქტომბრის რევოლუციის მეოხებით საფრანგეთის კომუნისტური პარტია, სწავლობდა რა სიძნელეთა გადალახვას, გახდა ლენინური ტიპის პარტია, რომელიც საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნის ვალდენ როშეს სიტყვებით რომ ეთქვათ, ახალი მუშათა კლასის დიდი დამოუკიდებელი პარტია და ამავე დროს უმნიშვნელოვანესი ეროვნული ძალა საფრანგეთში.

— ჩვენ გაბედულად მივდიგართ წინ, — განაცხადა ე. ფეაონმა, — უკუვაგდებთ რა მემარჯვენე რევიზიონისტთა ყალბ იდეებს, რომლებიც უარყოფენ ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო და გარდუვალ მნიშვნელობას, აგრეთვე ნეომარქსენი რევიზიონისტთა იდეებს, რომლებსაც, ლენინის საწინააღმდეგოდ, დიდი ოქტომბერი მიაჩნიათ სქემად, რომელსაც ბრძად უნდა მიბაძონ ყველგან და ყოველ ვითარებაში.

ორატორმა აღნიშნა, რომ საფრანგეთში შექმნილ ახლანდელ ვითარებაში ერთიანნი მუშათა კლასისა და მის გარშემო გაერთიანებული ქალაქისა და სოფლის საშუალო კლასების ბრძოლას შეიძლება და კიდევაც უნდა მოჰყვეს ნამდვილი დემოკრატიის დამყარება, რომლის დროს დაისახება ყველაზე ხელსაყრელი გზა სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ირანის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს თავმჯდომარემ რ. რადმანეშმა აღნიშნა, რომ ირანის მშრომელთა ცხოვრება და ბრძოლა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში განუყოფლად დაკავშირებულია დიდ ოქტომბერთან. ჩვენი პარტია, თქვა მან, ქვეყნის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის მისწრაფებათა განმახორციელია. იგი მუდამ ინარჩუნებდა და ინარჩუნებს ურყევი მეგობრობასა და ძმური კავშირს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან.

რ. რადმანეშმა ხაზი გაუსვა, რომ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საკითხებში ირანის სახალხო პარტია ამობს მაო ძე-დუნის გამოთქვამ ხაზს და იცავს პრინციპებს, რომლებიც ჩაწყობილებულია „კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლების მიერ 1957 და 1960 წლებში მიღებულ დოკუმენტებში.

ფინეთის კომუნისტური პარტიის ვიცეპრეზიდენტმა ე. სალომაამ გააშუქა მსოფლიო მუშათა მოძრაობასა და ფინეთის მუშათა კლასის განვითარებაზე ოქტომბრის რევოლუციის ვავლენის ზოგიერთი საკითხი. მან თქვა, რომ მისი ქვეყნის კომუნისტური პარტია შეუდგა თავისი ახალი პროგრამის შემუშავებას, რომელშიც გათვალისწინებულია სხვადასხვა ქვეყანაში, და უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირში რევოლუციური განვითარების გამოცდილება. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფინეთის კომუნისტებს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება მიაჩნიათ ერთ დოგმად, ერთიერ სახელმძღვანელოდ მოქმედებისათვის.

— დარწმუნებული ვარო, — განაცხადა დასასრულ ე. სალომაამ, — რომ მომავალშიც საბჭოთა მეცნიერული გამოკვლევანი და მარქსიზმ-ლენინიზმის აქტუალური პრობლემების დამუშავება დაეხმარება ჩვენი ქვეყნის მუშათა მოძრაობას, რომელიც დგას სოციალიზმის პოზიციებზე, სოციალისტური ფინეთისათვის ბრძოლაში.

კონფერენცია განაგრძობს მუშაობას. (საკდესი).

გულთბილი შეხვედრები საზღვარგარეთის პროფკავშირულ დელეგაციებთან

აფრიკის ცხრა ქვეყნის პროფცენტრების ხელმძღვანელები, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან, კვლავ ეცნობიან რესპუბლიკის ცხოვრებას. მშრომელი ხალხი ყველგან მხურვალედ, ამხანაგურად ხვდებიან მათ.

ორშაბათს დილით საზღვარგარეთის პროფკავშირული მოღვაწენი ეწვივნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. პროორექტორმა, პროფესორმა მ. მ. მირიანაშვილმა დაწვრილებით გააცნო მათ სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში. მან თქვა, რომ ახლა ქალაქის თერთმეტ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 50 ათასზე მეტი სტუდენტი.

ნიგერიის მშრომელთა ეროვნული გაერთიანების გენერალური მდივანმა რენე დელანმა დელეგაციის წევრთა სახელით მადლობა გადაიხადა საუბრისათვის. ჩვენ, თქვა მან, მუდამ დიდი სიამოვნებით მოვიგონებთ თქვენს უნივერსიტეტს და იმას, რა ყურადღებითა და გულითადობით შეგვხვდით. ეს არის აფრიკის ხალხებისადმი საბჭოთა ადამიანების ძმური გრძნობების ერთ-ერთი გამოვლინება. საბჭოთა ქვეყნის თვალსაჩინო წარმატებანი შთაგონებენ განვითარებადი ქვეყნების ხალხებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

აფრიკის სხვადასხვა ქვეყნის პროფცენტრების ხელმძღვანელები მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. საზღვარგარეთის პროფკავშირთა წარმომადგენლებს გულთბილად, გულახდილად ესაუბრა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლეკიანიანი. მან პროფკავშირულ მოღვაწეებს გააცნო საქართველოს პარლამენტის სტრუქტურა და საქმიანობა, ილაპარაკა რესპუბლიკის ინდუსტრიული და კულტურული განვითარების შესახებ, თუ როგორ იბრძვიან საბჭოთა პროფკავშირები სახალხო მეურნეობისა და კულტურის განუხრელი აღშენებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ო. ს. ცანავა.

გამოვიდა რა თავისი კოლეგების სახელით, მადაგასკარის მშრომელთა პროფკავშირების ფედერაციის თავმჯდომარემ ალბერტ რაზაფინჯოანამ განაცხადა:

— აქ, ჩვენი თვალით ვნახეთ, თუ რა უდიდეს წარმატებებს მიაღწია თქვენმა ხალხმა. ჩვენ ჩამოვედით წრფელი გულით და უკვე ვგრძნდა შესაძლებლობა ვუწვეოდით მოსკოვს, ლენინგრადსა და ახლა თბილისს. ჩვენ გავიგეთ, როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ საბჭოთა ადამიანები, და უნდა ვთქვათ, რომ საბჭოთა ხალხი ძალიან კარგად ცხოვრობს. თქვენთან ჩამოვედით განვითარებადი ქვეყნებიდან და ვნახეთ, რას შეიძლება მიაღწიოს მშრომელმა ხალხმა.

მეგობრობისა და ძმობის ვითარებაში ჩაიარა თბილისის პროფკავშირული აქტივის შეხვედრამ აფრიკის სხვადასხვა ქვეყნის პროფკავშირულ დელეგაციებთან. გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ერთგული საბჭოთა პროფკავშირები, კვლავაც ყოველი ღონისძიებით განავითარებენ და განამტკიცებენ ძმურ ურთიერთობას მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროფკავშირებთან, მთელი ენერგიით იბრძოლებენ მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

გუშინვე, სრულიად აფრიკის პროფკავშირთა ფედერაციის მდივანმა ამადუ ნ' დიაიმ და ტუნისის მშრომელთა საყოველთაო გაერთიანების გენერალური მდივნის მოადგილემ ბენ აიშამ მისცეს ინტერვიუ საქართველოს კორესპონდენტს.

— ბედნიერი ვარ, — თქვა ამადუ ნ' დიაიმ, — გაგიზიარო ჩემი შთაბეჭდილებანი აქ, საქართველოში, ვილაპარაკო აფრიკისა და მადაგასკარის ტუმათა კლასის სახელით.

აღტაცებული ვართ თქვენი სტუმართმოყვარეობით. აფრიკის მუშათა კლასი, მშრომელები, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის, ხალხის დიდი ხნის მეგობრები არიან. და ჩვენ სიამოვნებით დავთანხმდით საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევას, რათა საბჭოთა ადამიანებთან ერთად გაგვეზიარებინა დიდი დღესასწაული — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი — მთელი მსოფლიოს მშრომელთა დღესასწაული. საბჭოთა სახელმწიფოს იუბილეს დღეებში ჩვენი ყოფნა საბჭოთა ადამიანს შორის კიდევ ერთხელ ადასტურებს აფრიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობას.

შემდეგ ამადუ ნ' დიაიმ აღნიშნა:

— ჩვენ შევძელით ღირსეულად შეგვეფასებინა გრანდიოზული გამარჯვებანი, რომლებიც მოიპოვეთ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე. ჩვენზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა ხალხის მამაცობამ, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ააშენოს უფრო უკეთესი მომავალი. მე მინდა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს და, კერძოდ, საქართველოს მუშათა კლასს ვუთხრა, რომ დიდად ვაფასებთ საბჭოთა ქვეყნის მონაპოვრებს.

ბენ აიშამ თქვა, რომ საქართველოში დელეგაციის ყოფნის ვადა ხანმოკლე იყო. მაგრამ ამ მოკლე დროშიც, — თქვა მან, — დავრწმუნდით, რა სწრაფი ტემპით ვითარდება საქართველო — საბჭოთა კავშირის ერთერთი ეროვნული რესპუბლიკა. ჩვენ ვნახეთ არა მარტო საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე, არამედ მისი ინდუსტრიული აყვავებაც. საქართველოში ათასობით საწარმოა. ვიყავით ელმავალსაშენებელ ქარხანაში, ჩაის საწონ ფაბრიკაში, დავრწმუნდით, რომ ამ საწარმოთა მშრომელები თავიანთი ბედის ბატონ-პატრონნი არიან.

ბენ აიშამ ყურადღება დაუთმო საქართველოს უდიდეს წარმატებებს განათლების დარგში. ყოველივე ეს, დასძვნა მან, საბჭოთა ადამიანის კიდევ უფრო მშვენიერი მომავლის საწინდარია, რაც განსაზღვრება საბჭოთა მთავრობის მთელი პოლიტიკით, რომლის მთავარი მიზანია ხალხის კეთილდღეობის ამაღლება.

ბენ აიშამ ილაპარაკა რესპუბლიკის პროფკავშირთა საქმიანობაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პროფკავშირები კარგადაა ორგანიზებული და საუცხოოდ ასრულებენ თავიანთ ამოცანებს, რომელთა მიზანია ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარება.

დასასრულ ბენ აიშამ ტუნისის დელეგაციის სახელით მიუღოცა საქართველოს მშრომელებს წარმატებანი და თქვა, რომ ტუნისელი ხალხი სიმპათიითა და პატივისცემითაა გამსჭვალული საბჭოთა ხალხისადმი. (საკდესი).



ოქტომბერი

ბოლიანი ცა

ბოლიანი ბოლი

ბოლიანი ბოლი

ბოლიანი ბოლი

მაგალითის ძალა

დაიწყო ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

უამოდგომა მიიწურა. მთებში, ფოთოლცვენაა, ღამდამობით ციცა კიდეც. მაგრამ მაინც ლამაზი სანახავია ხანდოს ვიწრო ხეობა, რომელიც ყოველმხრივ მაღალი მთებით არის შემოზღუდული. მოწითლო კლდეებზე მწვანე ხავსი ჩამოკიდულა. ზევით და ზევით ოქროსფოჩიანი თოვლი და ქვევით არაგვი განსაკუთრებულ შნოსა და ლაზათს მმატებენ პეიზაჟს.

მაღალი მთებიდან მოვიდნენ ხანდოელი კომუნისტები პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. მოვიდნენ მწველავები, საკვებმომპოვებლები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მოვიდნენ მწყემსები, რომლებსაც ცხვარი სოფლის მახლობლად ჩამოიურეკავთ გასაპარსად და შორეულ ნოღაეთში გასამგზავრებლად. მთელი ექვსი თვე მწყემსები იქ იქნებიან, მართალია საძოვრებზე ისინი კრებებს გამართავენ, მაგრამ სულ სხვაა, როცა ამა თუ იმ საკითხის განხილვაში ყველა კომუნისტი მონაწილეობს.

კრების დაწყებამდე გაიმართა გულითადი საუბარი, დიდი ხნის უნახავ მეგობრებს რომ შეჰფერით. ყველას სახეზე სიხარული და ღიმილი იყო. ეს ბუნებრივიც გახლდათ, რადგან ამ პატარა ხეობის მშრომელები დიდი წარმატებით შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 50 წლისთავს. წარმატებებში კი სოფლის კომუნისტებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს. კოლმეურნეობის კანტორაში, სადაც პარტიული კრება მიმდინარეობდა, თავმოყრილნი ყველა გარდამავალი წითელი დროშა, რაც კი დუშეთის რაიონში არსებობს. ეს არის ხანდოელთა შრომის სასიხარულო ნაყოფი. არასოდეს, არცერთ წელიწადს მათ ასეთი მაჩვენებლები არ ჰქონიათ, როგორც წლეულს, თუმცა უმჯობესია მოვუსმინოთ პარტბიუროს მდივანს ნ. ჩოხელს:

— ამხანაგებო, თქვენ კარგად იცით, რომ სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული დიდმნიშვნელოვანი ამოცანების განხორციელება, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი ამაღლება, შეიძლება მხოლოდ თავდადებული, შემოქმედებითი შრომით. ამაში დიდი როლი ეკუთვნით პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც ნამდვილად უნდა იყვნენ მასების მებრძოლი ორგანიზატორები. ჩვენი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ოცდაოთხ წელს ითვლის, საანგარიშო პერიოდში თავის საქმიანობას წარმართავდა იმისათვის, რომ წარმატებით გაგვენაღდებინა საიუბილეო წელს ნაკისრი ვალდებულებები, იღვწოდა კოლმეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

საანგარიშო პერიოდში, რომელიც ერთ წელიწადს მოიცავს, ჩვენმა კოლმეურნეობამ სერიოზული წარმატებები მოიპოვა მეურნეობის ყველა დარგში. სწორედ ამაში ჩანს კომუნისტების ავანგარდული როლი და პარტორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა, რომლის წევრთა უმრავლესობა უნარიანად შრომობს წარმოების გადამწყვეტ უბნებზე და გამოირჩევა მუყაითი და თავდადებული შრომით. მეცხვარეობის ფერმაში მწყემსებად შრომობენ კომუნისტები ი. და ი. მოთიაშვილები, ვ. მელიქიშვილი, ს. დავითური, ვ. გვრიტიშვილი და სხვები. შეიძლება დაბეჯითებით ვთქვა, რომ ამ ამხანაგების გარჯა მისაბაძია ფერმის ყველა მუშაკისათვის. დიდი ხანი არ არის, რაც ფერმის გამგედ დავაწინაურეთ ახალგაზრდა კომუნისტი გ. მოთიაშვილი და, შეიძლება ითქვას, რომ არ შევცდარვართ. მისი ხელმძღვანელობით სანიმუშოდ გამოიზამრა ცხვარმა და ყოველ ას ნერბზე საშუალოდ მიღებულ იქნა 86 ბატკანი. ფერმის ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც ადრე კომუნისტი ი. მოთიაშვილი ედგა სათავეში და ახლა კომკავშვილი ი. გვრიტიშვილი ხელმძღვანელობს, დაიმახსოვა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა. დარწმუნებული ვარ, ბრიგადის წევრები მაღალ ჯილდოს არავის დავუთმობთ.

მეცხვარეობის ფერმაში საუკეთესოდ შრომობს კომუნისტი ი. მოთიაშვილი, რომელმაც სანიმუშოდ მოუარა ბატკანს და მატყლის კარგი ნაპარსი მიიღო. საერთოდ ფერმაში თვითეულ ცხვარს გაცილებით მეტი მატყლი გაპარსეს, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებდა. იგი პირადი მაგალითით აღფრთოვანებს თვითეულ მწყემსს, სულერთია პარტიულია ის თუ უპარტიო, და საერთოდ ხომ ასეა, ყველა ცდილობს მიბაძოს მოწინავეს. ჩვენს ქვეყანაში ტონს ხომ მოწინავენი იძლევიან.

ამჟამად ფერმა მზად არის ზამთრის საძოვრებზე გასამგზავრებლად. მწყემსებს რთული და შორეული გზა ელით, მაგრამ ეს მათთვის ახალი საქმე როდია. ექვსი თვის მანძილზე ჩვენ არ გვექნება ერთად შეკრების საშუალება, მაგრამ ფერმის მუშაკები ყველაფერს მომავალ წელსაც ისახელებენ თავს ახალ-ახალი წარმატებებით.

რაოდენ სასიამოვნოა, როცა მოწინავეთა შრომაზე ლაპარაკობ. განა სასიხარულო არ არის ვილაპარაკოთ, მაგალითად, ფარის უფროსი მწყემსის ს. მოთიაშვილის შრომითს მამცობაზე, რომელმაც ყოველ ას ნერბზე 90 ბატკანი გაზარდა. ფარის მწყემსები ცდილობენ მომავალშიც შეინარჩუნონ გარდამავალი წითელი ალამი, რომელიც მათ ვაჟკაცური შრომით მოიპოვეს.

ცხვრის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ჩვენს ფერმას გადაეცა პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის წითელი დროშა. იმედია, ამ მაგალითს ყველა ფერმა ბაძავს.

მეცხვარეობის ფერმაში საუკეთესოდ შრომობს კომუნისტი ი. მოთიაშვილი, რომელმაც სანიმუშოდ მოუარა ბატკანს და მატყლის კარგი ნაპარსი მიიღო. საერთოდ ფერმაში თვითეულ ცხვარს გაცილებით მეტი მატყლი გაპარსეს, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებდა. იგი პირადი მაგალითით აღფრთოვანებს თვითეულ მწყემსს, სულერთია პარტიულია ის თუ უპარტიო, და საერთოდ ხომ ასეა, ყველა ცდილობს მიბაძოს მოწინავეს. ჩვენს ქვეყანაში ტონს ხომ მოწინავენი იძლევიან.

ამჟამად ფერმა მზად არის ზამთრის საძოვრებზე გასამგზავრებლად. მწყემსებს რთული და შორეული გზა ელით, მაგრამ ეს მათთვის ახალი საქმე როდია. ექვსი თვის მანძილზე ჩვენ არ გვექნება ერთად შეკრების საშუალება, მაგრამ ფერმის მუშაკები ყველაფერს

შემდეგ მომხსენებელი ნ. ჩოხელი დაწვრილებით შეეხო პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ძირითად საკითხებს, ილაპარაკა ნაკლოვანებებზე და ახალ ამოცანებზე, ყველაფერ ამას კი წითელ ზოლად გასდევდა პარტიული მუშაობის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი საკითხი — წარმოებაში კომუნისტების ავანგარდული როლი და მათი პირადი მაგალითი.

დაიწყო კამათი. მეცხვარეობის ფერმის გამგემ გ. მოთიაშვილმა თქვა, რომ ფერმა მზად არის კასპისპირეთში გასამგზავრებლად. ფარები დაკომპლექტებულია გამოცდილი მწყემსებით. ყველა მეცხვარემ მიიღო ახალი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, გადარეკვა მოხდება ორგანიზებულად, უდანაკარგოდ. გეგმით ფერმას წლის ბოლოსათვის უნდა ჰყავდეს 7.200 ცხვარი, ამჟამად ყავს 7.400, გადაჭარბებით შეასრულეთ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა. დარწმუნებული იყავით, მეცხვარეები სიტყვას არ გატეხენ, საიუბილეო წლის მაჩვენებლებს მომავალ წელს კიდევ უფრო გაზრდიან.

სიტყვა აიღო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მწყემსმა ნ. ჯანიაშვილმა. — ფერმაში, — თქვა მან, — წარმატებით სრულდება ყველა დაკალება. ეს კი ჩვენი შრომის ნაყოფია. მე, როგორც კომუნისტი, ყოველთვის მოვუწოდებ ამხანაგებს უსაქმოდ ნუ გავაცდენთ ნურც ერთ წუთს, სრულად გამოვიყენოთ ყველა რეზერვი, კაპიკს კაპიკი მივუმატოთ, რომ უფრო გავაძლიეროთ კოლმეურნეობის ეკონომიკა. ამასთან მეტი უნდა ვიზრუნოთ სულიერ საზრდოზეც, საჭირო იქნება ახლო მომავალში სოფელში კარგი კლუბი გვქონდეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ტარელაშვილმა თქვა, რომ ხანდოელებს მიმდინარე წელს გადაჭარბებით აქვთ შესრულებული პროდუქტების როგორც წარმოების, ისე სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა. სასიხარულოა, რომ ჩვენს მწყემსებს ყიზლარში დახვდებათ ახალდაშენებული სამი საცხოვრებელი და ერთი ახალი სახლი, აგრეთვე ორი ახალი ფარღული და ბინები ცხვრისათვის. სოფელ წინამბარში პირუტყვი მოთავსდება კარგად მოწყობილ მექანიზებულ სადგომში. პირუტყვის ბინები მზადდება ცხვედიეთში, უკანამბარში, სოდევეში. ალსრულდა ხანდოელი კაცის დიდი ხნის ოცნება, შეავუდექით სოფლების ელექტროფიკაციას, ილიჩის ნათურები აკაშკაშდნენ კოლმეურნეობის უმრავლეს სოფლებში, დაგვრჩა მხოლოდ ცხვედიეთისა და უკანამბარის უბნები, ხადაც ელექტრობის მიღებას ამ დღეებში ვიზეიმებთ...

„ამაში მონაწილეობა მიიღეს კომუნისტებმა ს. გვრიტიშვილმა, ე. ბექაურმა, გ. ზურაბაშვილმა და პარტიის დუშეთის რაიკომის მდივანმა ვ. შერგილაშვილმა. მათ გამოსვლებში იგრძნობოდა დიდი სიხარული, რაც გამოწვეულია იმის შეგნებით, რომ ჩვენი ქვეყანა მომავალში კიდევ უფრო ჭეშმარიტად გრანდიოზულ წარმატებებს მოიპოვებს. ამის საწინდარია პარტიის გეგმები, მილიონობით ადამიანთა თავდადებული შრომა.

კრებამ პარტბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეფასება, აირჩია ბიუროს ახალი შემადგენლობა და საქართველოს კ ცუ დუშეთის რაიონულ კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატები.

პარტიული კრების მეორე დღეს ხანდოელი მეცხვარეები ცხვრის გადასარეკ ტრასაზე გავიდნენ. შორეული გზის ავანგარდში საქმის მოთავე კომუნისტები დგანან, რომლებიც შრომითი გმირობისა და მამაცობის მაგალითებს აძლევენ ადამიანებს.

ა. თომაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

იაში, სწრაფი, მოსერხებული — ასეთი ეპითეტებით შეგვიძლია შევამკოთ მათუშის ელექტრომექანიკური ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროში შექმნილი ახალი მოდელის ელექტროურიკები.

კონსტრუქტორებმა შექმნეს 3, 2 და 5 ტონა ტვირთამწეობის ასეთი მანქანები, რომლებსაც შეუძლიათ იმოძრაონ ვიწრო საამქროებში. საწარმოს კოლექტივმა უკვე დაიწყო 3, 2 ტონა ტვირთამწეობის მანქანათა სერიული გამომშვება, ხოლო ხუთტონიანის დამზადებას მოკლე ხანში შეუდგებიან.

სურათზე (მარცხნიდან). კონსტრუქტორები ფ. გაბელაია, ო. ბასილაძე და გ. მარჩაკოვი ამოწმებენ ელექტროურიკის ტექნიკურ მდგომარეობას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ფერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

დამნაშავენი დაისჯნენ

ამას წინათ „კომუნისტის“ რედაქციაში შემოვიდა მამილერელი წერილი, რომელიც შეეხებოდა ზესტაფონის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მოშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებსა და დარღვევებს, ანალოგიური წერილი მიიღო პარტიის ზესტაფონის რაიკომმა. რედაქციისა და რაიკომის წარმომადგენლებმა შეიტყვეს, რომ ეს ორ-ტრიალი ადამიანი ყოფილა. ამ ადამიანებმა ერთ-ერთ ადგილას ბოროტად ბალანსი ... ...

სამარცხვინო ნაბიჯი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

ბერლინი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფმს-კანცლერის ერჰარდის ჩასვლა ისრაელში, რომელიც რეკლამირებული იყო როგორც „ეკონომ ვიზიტი", ტელ-ავივის მმართველობასთან მისი საუბრების შინაარსი და გამოქვეყნებული განცხადებანი ნათლად მოწმობენ, რომ ეს ვიზიტი ბონის ახალი სამარცხვინო ნაბიჯია, რომელიც ნიშნავს, რომ ბონის მთავრობა სრულიად აშკარად ებრძვის ებრაული ბოლოტიკის არაბული ქვეყნების მიმართ. ეს განცხადება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დასავლეთ-გერმანიის მთავრობის ყოფილი მეთაურის ისრაელში გამგზავრებასთან დაკავშირებით.

როგორც განცხადებაში ხაზგასმულია, ეჰარდი კიზინგერ-შტრაუსის მთავრობის დროინდელი ტელ-ავივში აწარმოებდა მოლაპარაკებას, ბონ-ტელ-ავივის პოლიტიკური სამხედრო და ეკონომიური „ღერძის" შემდგომი განმტკიცების შესახებ. ეჰარდის დამირება ისრაელისადმი შემდგომი ნახმარების შესახებ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ამასწინანდელი კრედიტი ისრაელისადმი 160 მილიონი მარკის ოდენობით და ის გარემოება, რომ დასავლეთგერმანული ბანკირები მზად არიან მასცენ ისრაელს ჯარი ამისა 200 მილიონი მარკა, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მეშვეობით, ყოველივე ეს ამ თანამშრომლობის შემადგენელი ნაწილებია.

პარტია ნეო ლაო ხაკ სატის განცხადება

კანი. 13 ნოემბერი. (საკდესი). პარტია ნეო ლაო ხაკ სატი და ლაოსელი ხალხი მტკიცედ უჭერენ მხარს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია კორეის სახალხო - დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 1967 წლის 18 ოქტომბრის მემორანდუმში, და მზად არიან კორეელ ხალხთან ერთად იბრძოლონ საერთო მტრის — ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს ნათქვამია პარტია ნეო ლაო ხაკ სატის წარმომადგენლის განცხადებაში, რომელიც გმობს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა აგრესიულ ხრიკებს კორეაში.

განცხადებაში, რომელიც დღეს ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა რადიო „პატეტ-ლაოს ხმის" დამოწმებით, აღნიშნულია, რომ პარტია ნეო ლაო ხაკ სატი და მთელი ლაოსელი ხალხი გადაჭრით მოითხოვენ შეწყვიტონ ყველა პროვოკაციული მოქმედება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ეს ქმედებანი ეწინააღმდეგებიან ლაოსელ ხალხთა ინტერესებს, ეწინააღმდეგებიან ეროვნულ-დემოკრატიულ ფრონტ „ლაოს" ეროვნულ ერთიანობის ფრონტ „ლაოს" ეროვნულ ერთიანობის ფრონტ „ლაოს" ეროვნულ ერთიანობის

ბალადა ქართველ ჯარისკაცზე

ა. გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“

• მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე •

სცენის სიღრმეში, თითქოს და უსასრულოდ რომ გრძელდება, უკუნეთისაკენ ჯარისკაცებივით წამომართულან რკინის სვეტები. ირგვლივ ყვითელფერი სისხლისფერშია გახვეული და ეს სვეტებიც განსაკუთრებულ აზრს იძენენ მის ფონზე. ამ რთულსა და შინაგანად უკვე დაძაბულ ატმოსფეროში იწყება პირველი ჯარისკაცული ცხოვრება ქართველი ჭაბუკებისა.

მაგრამ ისინი ჯერ კიდევ სავსებით ვერ გრძნობენ ომის სიმძაფრეს, ჯერ კიდევ მძლავრია მათ სულში მშვიდობიანი ცხოვრების ინერცია. მართალია, ისინი ბრძოლის ველზე მოვიდნენ, მაგრამ მთელი მათი ურთიერთობა ჯერ კიდევ ატარებს უშფოთველი ცხოვრების რიტმს ამით მთავრდება პირველი სურათი. იწყება ახალი სცენა და სულ უფრო მწვავდება შინაგანი კონფლიქტი ომისა და მშვიდობიანი ცხოვრების რიტმს შორის, უფრო მეტად ინაღმება ატმოსფერო და თითქოა მის გასამუხტავად იმართება ნამდვილი ქართული ვნებითა და ტემპერამენტით სავსე ცეკვა.

მხნე და ფიცხელი ჭაბუკები მღერიან გახელებით. სკენაზე ტრაილეზს ქართველი ქალი მაია და მის. ირგვლივ თავმომწონე ახალგაზრდობის ნამდვილი „ომია“ გაჩაღებული. სისხლისფერია (მხატვარი ა. კაკაბაძე) გარემო და თითქოს ეს უფრო მეტად ახელებს მოცეკვავე ჭაბუკებს. თითქოს სიმღერისა და ცეკვის (ქორეოგრაფი გ. ოდიკაძე) ექსტაზით ხვდებიან ისინი ბრძოლის დაწყებას. ეს ნაღვლიანი მელოდიური ხმები როდია ფრონტზე მომავალი ჯარისკაცისა. იგი მხნეა და ამაყი, — სავსეა სიყვარულით, ვნებით, გატაცებით, როგორც ქართველი კაცის რომანტიკული იდეალი. ამ ყველაზე მხიარულ წუთებში იჭიქების ყუმბარაც. ცეკვისა და სიმღერის რიტმს მტრის თვითმფრინავების შემზარავი გუგუნი სკვლის, და ჩვენი ქართველი ჯარისკაცებთან ერთად შევდივართ ომის მრისხანე სამყაროში.

ასე იწყება ა. გეწაძის პიესის „წმინდანები ჯოჯოხეთში“ გმირთა საბრძოლო ცხოვრება, იწყება ქართველი ახალგაზრდების მძიმე და სასახელო გზა ომის წლებში.

ა. გეწაძემ მთელ ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში ყველაზე სრულყოფილად ერთ-ერთმა პირველმა გვიჩვენა მეომარი ქართველი ჭაბუკების პოეტური სული, მათი ზნეობრივი სიწმინდე და რაინდული კეთილშობილება. მან დაგვანახვა შინმოუსვლელი ჯარისკაცების ნამდვილი სახე და „ადრე წასული კაცის ფიქრები“ გაგვიზიარა. ფაქიზად ჩაგვახედა მათს სულში, გვაგრძნობინა მათი ლირიკული ბუნება. დრამატურგი არსად არ ილაპარაკებს სინამდვილეს, მაგრამ რაოდენ შორს დგას იგი სიმართლის „ცამეტწმენიანად“!..

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა კარგად იგრძნო ა. გეწაძის პიესის ლირიკული ბუნება, მისი „სულიერი რეალიზმი“ და რომანტიკული ამაღლებულობა. ერთმანეთს შეხვდა სიმართლის მწერალი და სცენიდან „განმაცხადებელი“ სიმართლისა. ეგიასორმა და დრამატურგმა თანამედროვეობის თვალით დაინახეს ომის თემა და სიერთო ჯარისკაცის ცხოვრება, მათ „ადამიანის სულისა და გულის ძვრაზე“ ააგეს მთელი სპექტაკლი და ჭვრთა ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებიც პოეტური შექმნა გაანათეს. სცენაზე ბევრია ფსიქოლოგიური ნიუანსები, დამაფიქრებელი და ფაქიზი დეტალები, მაგრამ ყოფითი წვრილმანები არსად არ იქცევიან ძირითადად, ეხოვრების პროზა არსად არ ბატონდება პოეზიაზე.

რ. მირცხულავას აქამდე არც ერთ თავის სპექტაკლში არ ჰქონია ინტელექტუალურია და ემოციური საწყისის ამგვარი მოლიანობა, ასე კარგად არად არ შეუქმნია ლაკონიური მიზანსცენები. ამ მკაცრი ლოგიკური წყობის სპექტაკლში რეჟისორმა გვიჩვენა კომპოზიციურად რთული პიესის ზუსტი მხატვრული ორგანიზაციისა და მთელი მისი შინაგანი განფენილობის სადა ფორმებში გადმოცემის უნარი. იგი ყოველთვის ისწრაფვის, რომ მისი ანსტი იყოს მკაფიო და კონკრეტული, პლასტიკური ნახსნი ეზნეი, ემოციური ზეაწეულობა პოეტური. რეჟისორი გრძნობს დრამატული პოემის ბუნებას და ამიტომ მისი წარმოდგენის ძირითადი სტრიქონი ლირიკაა ანუ მთელი სცენური ურთიერთობის ქვაკუთხედი არის პოეტური ინტონაცია. აქ ყოველი გმირის სულიერ განწყობილებას, მათ მოქმედებას აერთიანებს მიზნის სიცხადე, მაღალი ზნეობრივი იდეალი და ერთიანი შინაგანი დაძაბულობა.

ეს გარემოება განსაკუთრებულ დამაჯერებლობას ანიჭებს გმირთა მოქმედებას, დრამატურგი და თეატრი არსად არ ცდილობენ ფართო ბატალური სცენებით, ჩვენს თვალწინ მტერთა ხოცვითა და საბრძოლო ყიჟინით გვაუწყონ ჯარისკაცთა გმირობა. ისინი უფრო რთული და თანამედროვე თეატრალური პრინციპებისათვის უფრო ბუნებრივი გზით აღწევენ ქართველი მეომრების მაღალი ჰუმანიზმისა და გმირული სულის ჩვენებას. მირიანისა და მაიას პოეტურ თავვადასავალში სიმბოლურად გამოხატა ქართველი კაცის მრავალსაუკუნოვანი ზნეობრივი იდეალების, მისი რაინდული სიწმინდის უკვდავების იდეა. შესაძლოა ამ მეტად თამამსა და ფართო ჩანაფიქრს მეტი მხატვრული განზოგადებაც სჭირდებოდა, მაგრამ რასაც სცენაზე ვხედავთ, არ შეიძლება არ გვახარებდეს. მრისხანე ომმა გადაიარა ახალგაზრდების სულში, მაგრამ ისინი ზნეობრივად შეუბღალავი დარჩნენ ბოლომდე.

ასეთია სპექტაკლის მორალურ-ეთიკური საფუძველი.

რეჟისორი ხშირად მიმართავს ბალეტურ კონკრასტებს, იგი არ ერიდება ფსიქოლოგიურად სრულიად საწინააღმდეგო შემობრუნებას, მაგრამ თითქმის ყოველთვის ინარჩენებს მხატვრულ ტაქტს. საილუსტრაციოდ გავიხსენოთ თუნდაც ამირან ხარაძის „დაღუპვის“ სცენა. შიო (ნ. ქალდანი) ძმის „დაღუპვის“ ამბავს რომ შეიტყობს, მეგობრები მას იმავე წუთს თავის კერძ საჭმელს მიუტანენ. ძმის სიკვდილი და საჭმელის მირთმევა მეტად თამამი და თავმეფის „ეკაური ეულტია, მაგრამ იმ გარემოში ფსიქოლოგიურად ზუსტი და მძაფრი. აქვე მეორე სურათიც, ასევე კონტრასტული — ამირანის (ვ. ფირცხალაიშვილი) მოულოდნელ დაბრუნებას საერთო ზეიმი მოსდევს, ხოლო მას — კაპიტნის (ლ. ცხვარიაშვილი) ცხობა, რომ ბატალიონი დაიშალა და ამიერიდან იწყება პარტიზანული ცხოვრება.

ამ გზაზე იშლება გმირთა ახალი ურთიერთობა, განსაკუთრებით ნათლად მეღავნდება ჯ. მონიავას — მირიანისა და მ. მეალავას — მაიას სიყვარულის ისტორია. ისინი დგებიან მოვლენის ცენტრში, უფრო კონკრეტული ხდება მათი დამოკიდებულებაც „პარტიზანთა პირველ სცენას (რომელიც ეანრული კოლორიტის გრძნობით არის დადგმული) სცენის მირიანის, მაიასა და ვალიკო იამბილის (გ. ციციშვილი) გამოთხოვება მეგობრებთან. ამიერიდან სხვადასხვა გზით წარმართა მათი ცხოვრება. თითქოს ტრადიციული სასიყვარულო სამკუთხედი შეიქმნა, მაგრამ იგი არ შეიძლება ძირითადად იქცეს და ამატომაც მას უფრო ეპიზოდური ხასიათი აქვს.

ჯ. მონიავა, რომელსაც ნამდვილი აქტიორული წარმატება ხვდა, თავისი გმირის მხოლოდ ლირიკულ მხარეს გვიჩვენებს. აქედან წარმოდგება ის სირბილე, სინაზე და ის პოეტური სითბო, რომელიც განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს შინაგანად ძლიერი ადამიანური ვნებათაღელვის ფონზე (ჯონდოსა და ვალიკოს შეპირისპირებისას). თითქოს დასაჯერებლადაც ძნელია ასეთი წმინდანობა ამ ჯოჯოხეთურ გარემოში, მაგრამ მსახიობსა და დრამატურგს სწორედ ამგვარი პოეტური სულის ჩვენება სურთ. მის წინაშე მარცხდება ყველა მიწიერი ლტოლვა. ყველაზე მეტად მას შეეჭიანა ომიცა და მისი გარემოც, მაგრამ მირიანიცა და მაიაც სულიერად უფრო დაკრისტალებული გამოდიან. ყოველგვარ განსაცდელში გაიმარჯვეს მათ და ეს იყო ადამიანური რწმენის გამარჯვება.

ამაშია სპექტაკლის დიდი იდეური ძალა

ლაპიდარულ, კომპოზიციურად მწყობ, მხატვრულად დახვეწილ პირველ მოქმედებას ლოგიკურად აგრძელებს მეორე აქტი; რეალისტური მანერა შესრულებისა და ყოფიერი დეტალების განზოგადების ტენდენცია, რომელიც პირველ მოქმედებაში იწყება, მეორე აქტში მეტ ბოტეურობასა და რომანტიკულ ზეაწეულობას აღწევს. ჩვენს წინ ისევ გაიელვებენ ვ. თანდილაშვილისა და ა. ვეფილიშვილის, ბ. გოგინაველა და ვ. კვიტაიშვილის მიერ შექმნილი სახეები. ნაღვლდას ოჯახის სცენას, ყველაზე რთული სურათი სცენის. რაღაც დიდი და მონოტონური სიჩუმის ფონზე, ცეცხლისპირას, როგორც ადამი და ევა (როგორც ისინი ამბობენ) ისე დგანან მოინიავა და მეალავა. აქ იღვიძებს მათი ინტიმური სამყარო და ვიდრე იგი სავსებით დაეუფლება, შორიდან მოისმის სროლის ხმა. ეს ხმა აფიხზლებს მათს გონებას და წამიერად იდილიურ მოგონებებში გადასულებს ისევ ბრძოლისაკენ მოუხმობს მკაცრი სინამდვილე. ის ხმა, რომელიც მათ მოესმათ, უკანასკნელი გასროლა იყო მეგობრებისა.

ლირიზმიდან ტრაგიზმში

გადაიზარდა სცენური ატმოსფერო, რომელსაც ლოგიკურად ამთავრებს მკვდრებთან შეხვედრის სურათი. სცენაზე ჩნდება სახეცვლილი, ქაბრეშეხსნილი და გულგახსნილი ჯარისკაცები. ისინი მხოლოდ ორიოდე სიტყვას (მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანს) ამბობენ თავიანთ უკანასკნელ განცდებზე. მირიანი დაძაბული უსმენს მას ხმას და ფსიქოლოგიურად ზუსტი რეაქციით უფრო ავსებს და ამართლებს ამ პირობითად გადაწყვეტილ სცენას. დაღუპული ჯარისკაცების სიმღერა უფრო ამძაფრებს მთელ სურათს. არა მარტო ამ სცენაში, მთელ წარმოდგენაში დიდია დ. შოსტაკოვიჩისა და ო. თაქთაქიშვილის მუსიკის ძალა და მნიშვნელობა. იგი იჭრება მოქმედ გმირთა სულში, იწვევს ახალ ემოციურ იმპულსებს და ეხმარება მათი შინაგანი სამყაროს გახსნას. მთელი სცენა ივსება ვაკაცური და პოეტური მელოდიებით.

როცა დაღუპულ ჯარისკაცთა სურათი მთავრდება, სცენის ცენტრში ეშვება კედელი, რომელზეც მირიანი და მაია დაღუპული ჯარისკაცების გვარს აწერენ. კედელი, რომელიც ასე მარჯვედ არის რეჟისორისა და მხატვრის მიერ მიგნებული, განსაკუთრებულ სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. იგი იქცევა ჯარისკაცთა მემორიალად. მირიანმა და მაიამ კი ქვეყანას აუწყეს ქართველ ჯარისკაცთა გმირობა.

ამაშია სპექტაკლის პატრიოტული მნიშვნელობა.

წარმოდგენაში საუკეთესოდ დამუშავებულია მასობრივი სცენები. აქ არის მკვეთრი ინდივიდუალიზებული. რეალისტური სახეები. ყოველი ეპიზოდი, ყოველი პატარა როლი აქტიორულად ზუსტად არის გამოძერწილი. სპექტაკლში გამოჩნდა ჩვენი ახალგაზრდობა, გამოჩნდა მათი იმედის მომცემი შემოსავმედი.

წარმოდგენა სტილისტურად მთლიანია (მხოლოდ მესამე აქტშია დარღვეული!), დაცულია აქტიორული განსახიერების რეალისტური მანერა, ხოლო თეატრალური ამალლებულობა მიღწეულია რეალისტურში რომანტიკული ნაკადის ბუნებრივი სინთეზით. სახეთა მკვეთრი ინდივიდუალობა არის ის საფუძველი, რომელიც ჩვენთვის ასე საინტერესოსა და დასამახსოვრებელს ხდის ყოველ აქტიორულ შესრულებას. გავიხსენოთ თუნდაც ივ. ოსაძის გულმართალი კუდაშვილი, თავისი დიდი საზურგე ჩანთით, შავი დღისთვის შემონახული საჭმელი რომ დაეკვეს მეგობრებისათვის. ან გარეგნულად თითქოს მშვიდი, მაგრამ მუდამ დაძაბული, ჯარისკაცებს ფარული ალერსით რომ შესცქერის ლ. ცხვარიაშვილის კაპიტანი. ომისაგან გახევებული, სიტყვაძუნწი, ოდავ მონოტონური თეორაძის ნადექდა ფიალკოვა. მაყურებელმა მარჯანიშვილის სცენაზე პირველად ნახა ხუთი ახალგაზრდა მსახიობი (ჯ. მონიავა, მ. მეალავა, ვ. ფირცხალაიშვილი, ვ. ფანდილაშვილი, ნ. ქალდანი). ფართო ასპარეზზე პირველად გამოჩნდა ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვარი ა. კაკაბაძე, თბილისის თეატრში პირველად დაიდგა ა. გეწაძის პიესა. თეატრმაც თავისი მეორმოცე საიუბილეო სეზონი ამ ახალი სპექტაკლით დაიწყო. ასე რომ მრავალმხრივ „პირველი“ აღმოჩნდა წარმოდგენა.

სცენაზე პიესამ საგრძნობი ცვლილება განიცადა. დრამატურგთან ერთად შეიქმნა ახალი სცენები, ახალი სახეები, შეიცვალა ფინალიც. ასე რომ ეს არის თეატრისა და დრამატურგის თანამეგობრობის კარგი მაგალითი.

ერთგვარად პოლემიკურია მესამე მოქმედება, სადაც ჯონდოსა (ვ. გელოვანი) და ნასტიას (მ. ბებილეიშვილი) ძლიერი ხასიათების, მათი სტიქიური ვნებათაღელვისა და მიწიერი ბუნების გამოხატვაა მოცემული. ჯონდო და ნასტია ნამდვილი ეპიკურელები არიან. მათ შეუძლიათ თვალი გაუსწორონ „სიმართლეს და ამა ქვეყნიდან მიიღონ ის, რის მიღწევაც შეუძლიათ. ისინი გამოირჩევიან მეტად მაღალი ძაბვის სულიერი და ფიზიკური ენერგიით. მათში ბეგრია დაუოკებელი ძალა. პირველი მას მტერთან ბრძოლაში ხარავას, მეორეკი მოკლებულია ამის საშუალებას. ამიტომ არის მასში დრამატიზმი და ნერვიული დაძაბულობა. სწორედ ეს მომენტია მთავარი მ. ბებილეიშვილის შესრულებაში. ვ. გელოვანის ჯონდოს ნამდვილი ხასიათი და მისი სწორი აქტიორული განსახიერებაც მაიასთან პირველ შეხვედრაში უფრო ჩანს, ვიდრე ნასტიასთან სცენაში. აქ, საერთოდ დაშვებულია კომპრომისი. ალბათ ამან აიძულა ზოგიერთი თეატრი (მაგალითად, ბათუმის), რომ სავსებით ამოეღო ეს ადგილი. რამდენად სწორია ამგვარი გამოსავალი სადავოა, მაგრამ ეს სცენა საშუალებას იძლევა სპექტაკლის ბუნებისათვის არაორგანული დეტის გათამაშებისათვის. ასეც მოხდა. რეჟისორმა მირცხულავამ სპექტაკლის სტილისაგან განდგომილად დატოვა „ბანოს სცენა“ და ამით გზა გაუხსნა შატამპსა და საეგვო გემოვნების თეატრალურ ეფექტს. დრამატურგიულად კარგად დაწერილ ხასიათებს „ნასტიას სცენის“ მეორე ნახევარში ვერ მოეძებნა სწორი თეატრალური ფორმა. აქ არის ულიმდამო ფსიქოლოგიური აქცენტები და უსაგზო იმპროვიზაციული გადახვევები. კომპოზიციურადაც გადასახვედია ზოგი რამ. დამდგმელი ჯგუფი უფრო უნდა გაუფრთხილდეს სპექტაკლის ღირსებას!

როცა წარმოდგენა გაიელის ამ „სახიფათო“ სცენებს, ისევ გამოანაცვლებს „წმინდანების“ კეთილი სული. მეორე მოსანიდან ისევ გადმოდიან ცენტრში, ისინი უკვე ჩვენთვის ახლობელი და საყვარელი ახალგაზრდები არიან. მათ გაიარეს მძიმე გზა, და რომ გვგონია ყველაფერი ბედნიერად დასრულდა, მოულოდნელად ისევ აღიმართება საფრთხე. თითქოს ეს ახალგაზრდები თავიანთი ღირსების მსხვერპლნი ხდებიან, როცა მთა მიერ გადარჩენილი შალვა ცამციძე (ბ. გოგუა) და ზემდეგი (ა. პეტრიაშვილი) მიუჩინეს მეთვალყურედ, მაგრამ დიდხანს არც ეს დრამატიული მომენტი გრძელდება და ჩვენ მთავარი გმირების გზას ბედნიერ ფინალისაკენ მივყავართ. დაღუპული მეგობრების წინაშე ვალმოხდილები, ბრძოლაში ნაწრთობი ახალგაზრდები სხვადასხვა მხარეს მიდიან. წინ კვლავ ომი, კვლავ დიდი გზაა და ჩვენ არ ვიცით, დაეცემიან ისინი თუ არა ამ გზაზე, მაგრამ გვჯერა, რომ მორალურად მუდამ გამარჯვებულნი იქნებიან, მათს სულს ვერ გატეხს ვერავითარი ძალა და თუ დაეცნენ— ბრის სიკვდილით დაეცემიან უსათუოდ.

ასეთია მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ახალი სპექტაკლი, რომლის მართალმა და პოეტურმა სიტყვამ გამარჯვება მოუტანა თეატრსა და დრამატურგს.

ვასილ კიკნაძე.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „წმინდანები ჯოჯოხეთში“. მაია — **მ. მეალავა**, მირიანი — **ჯ. მონიავა.**

ფოტო **მ. შოშიაშვილისა.**



რევანშის ნაცვლად...

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 2:3 (0:1). თბილისი. 12 ნოემბერი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ა. ივანოვი (ლენინგრადი).

„დინამო“ — კოტრიკაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ხურციელავა, ცხოვრებოვა, პეტრიაშვილი, მეტრეველი, ასათიანი (დათუნაშვილი), გავაშელი, ნოდია, მესხი; „სპარტაკი“ — მასლაჩენკო, ლოგოფეტი, ბრეშნევი, კრუტიკოვი, ვარლამოვი, როგკოვი, ამბარცუმიანი, ოვივიანი, ოსიანინი (ეფლეტიევი), მიხაილინი, ჰუსაინოვი.

მეტოქეები დაახლოებით ოთხი თვის წინ, 19 ივლისს შეხვდნენ ერთმანეთს მოსკოვში. ეს იყო მათი პირველი წრის მატჩი. მაგრამ ამ დღეს თბილისელებმა ბევრი ვერაფერით გაახარეს თავიანთი თაყვანისმცემლები, წააგეს შეხვედრა 0:1.

წარსულის ეს მაგალითი აქ იმისათვის გავიხსენეთ, რომ ერთგვარი პარალელი გაგვეკეთა ამ გუნდების მაშინდელ და გუშინწინდელ შეხვედრებს შორის. ისევე როგორც მოსკოვში, დინამოელები არც საკუთარ მოედანზე ბრწყინავდნენ და წააგეს შეხვედრა კვლავ ერთი ბურთის სხვაობით.

სტუმართა მიერ გატანილი სამი ბურთიდან ორი მცველთა შეცდომებს უნდა მივაკუთვნოთ. ფორვარდებიც სცოდავდნენ — ამა გავიხსენოთ კარის ალების რამდენი შესაძლებლობა დაიკარგა, ისიც 2-3 მეტრიდან.

რა თქმა უნდა, ამ მაღალტექნიკურ გუნდებს კომბინაციათა სრულყოფაში მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი ატალახებულმა მოედანმა. ტემპი თავიდანვე მაღალი იყო. დასაწყისში ინიციატივას მასპინძლები ფლობდნენ და საგულო მომენტებიც გაცილებით მეტი ჰქონდათ, მაგრამ მასლაჩენკოს კარი გადაურჩა სახიფათო მომენტებს. მალე თამაში გათანაბრდა, შემდეგ კი ინიციატივა ხელთ იგდეს სპარტაკელებმა, თუმცა ისინიც სცოდავდნენ კარის წინ. ტაიმის დამთავრებას ექვსიოდე წუთი აკლდა, როდესაც სტუმრებმა ჭარმატება იზეიმეს — მარჯვენა ფლანგიდან გათამაშებული კომბინაცია ამბარცუმიანმა ეფექტური გოლით დააგვირგვინა.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე ნოდიამ კარგად გაიყვანა წინ მეტრეველი და ამ უკანასკნელმაც ზორიდან მოულოდნელი დარტყმით წონასწორობა აღადგინა. 55-ე წუთზე კვლავ სპარტაკელები დაწინაურდნენ. აქაც გოლის ავტორი ამბარცუმიანი იყო. მის მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა ხურციელავას და ბადეში გაეხვია. ამის შემდეგ ხუთი წუთი არც კი იყო გასული, რომ რეხვიაშვილმა თავური დარტყმით სასანაზო ბურთი გატანა — 2:2. და ბოლოს 79-წუთზე ის-ის იყო ოსიანინის ნაცვლად მოედანზე შემოვიდა ეფლეტიევი, რომელმაც გადამწყვეტი ბურთი გაიტანა თბილისელთა კარში.

დიახ, რევანშის ნაცვლად ჩემპიონატის ფინიშთან თბილისის დინამოელებმა დამარცხება განიცადეს 2:3, მაგრამ სატურნირო ფორტუნა საბედნიეროდ დინამოელთა მხარეზეა, თბილისელები კვლავ ბრინჯაოს მედლების პირველ კანდიდატებად რჩებიან.

ვ. გაბელია.

ევროპის ჩემპიონატზე

ბაიმართა ევროპის ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები ფეიბურგში.

ბელგრადში ერთმანეთს შეხვდნენ იუგოსლავიისა და ალბანეთის ნაკრები გუნდები. გამმარჯვებლებმა ანგარიშით 4:0. იუგოსლავიელმა 6 ქულით დაამთავრეს შეჯიბრება მეოთხე ჯგუფში. გფრ-ს ნაკრებს 3 თამაშიდან 4 ქულა აქვს, ამასთანავე ჩასატარებელი დარჩა ერთი თამაში ალბანელებთან.

სოფიაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ჰქონდათ ბულგარეთისა და შვეიცის ნაკრებ გუნდებს. გაიმარჯვეს ბულგარელებმა 3:0. ახლა ბულგარელები მეორე ჯგუფის ლიდერები არიან. მათ 8-დან 7 ქულა აქვთ. ბულგარელებთან ერთად მეოთხედფინალში გასვლის შანსები აქვთ პორტუგალიელებს.

უმაღლესი ლიგის საგზურისათვის

გრძელდება „ა“ კლასის მეორე ჯგუფის სამი უძლიერესი კოლექტივის — ყარაგანდის „მახტაორის“, კიროვაბადის „დინამოსა“ და კიევის სკა-ს ფეხბურთელთა გუნდების ასპარეზობა უმაღლესი ლიგის ერთადერთი საგზურისათვის.

კვირას კიროვაბადში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ყარაგანდის „მახტაორი“. ლიდერმა — „მახტაორმა“ დამარცხება განიცადა ანგარიშით 0:1.



ჩინეგული სტარტი

დელიში დაიწყო მსოფლიოს პირველობის გათამაშება თბილისელ ჭიდაობაში. პირველი წრე საბჭოთა მოჭიდაურეებმა წარმატებით გაიარეს. **ნ. ალბარიანმა** მე-8 წუთზე დამარცხა ინდოელი **შამრაო საბლე.** **ა. ალიევმა** და **ე. თედეევმა** შეხვედრები ქულებით მოიგეს მექსიკელებთან **ანზორ ლაზთან** და **რობერტო ბოლოსთან. გ. სადარაძემ** წმინდა გამარჯვება მოიპოვა თურქ **ათალანისთან.** ასევე არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია **ბ. გურევიჩს** უნგრელ **გოლოსთან** შეხვედრაში.

მხოლოდ **შ. ლომიძე** დამარცხდა. მას მოუგო მსოფლიოს ჩემპიონმა თურქმა **აიკმა.**

ბაზეთ „კომუნისტზე“

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველოს „სოიუზპეჩატი“ იუწყება, რომ

ბაზეთ „კომუნისტზე“

ხელმოწერა 1968 წლისათვის

შეწყდება 25 ნოემბერს

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ხელმოწერა გაფორმდება 1968 წლის თებერვლისათვის და მომდევნო თვეებისათვის.

„სოიუზპეჩატი“.

თასის მფლობელი დამარცხებას გაღაურჩა

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 2:2 (1:0). ქუთაისი. 12 ნოემბერი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ა. ზმერეული (ლენინგრადი).

„ტორპედო“ — კვასხვაძე (ნარსია), ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრაილაძე, ძოძუაშვილი, წვერავა, ერქომაიშვილი, ზარია, ხერხაძე, ვეფუა, ჭითანავა; „დინამო“ — იაშინი (რაკიტსკი), შტაპოვი, რიაბოვი, ზიკოვი, მასლოვი, ანიჩკინი, ჩისლენკო, ივანოვი, ეშიკეევი, გუსაროვი, ევრიუეფიხინი (კოზლოვი).

თასის მფლობელი და ჩემპიონატის ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ — მოსკოვის „დინამო“ ქუთაისს ეწვია და აქ კვირას პაემრობა ჰქონდა ადგილობრივ „ტორპედოსთან“. უნდა ითქვას, რომ ქუთაისელებმა ეს მატჩი ნიგბულად ჩაატარეს, მოსკოველ „დინამო“ დამარცხებას გადაურჩა.

მართალია, მატჩებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გოლებსა, მაგრამ თუ ვიმსჯელებთ თამაშის მსვლელობით, მასპინძლები სჯობნიდნენ მეტოქეს. თითქმის ნახევარი საათი **იაშინის** კარი განუწყვეტელი მეტრის ქვეშ იყო. და ამ 26-ე წუთზე დინამოელთა კარი აიღეს. გოლის ავტორი იყო **ვეფუა.**

მეორე ნახევარი უფრო მძაფრი გამოდგა. 64-ე წუთზე სტუმრებმა კარგად გამოიყენეს „ტორპედოს“ მცველთა შეცდომა და **ვშიკეევმა** საპასუხო გოლი გაიტანა. დარჩენილ წუთებში მეტოქეებმა თითქმის ბურთით ბაზარეული ბაგარიში (მე-79 წუთზე **ჭითანავამ,** 86-ე წუთზე **მასლოვმა**) და შეხვედრა ფრედ — 2:2 დაამთავრეს.

შ. ჯაბახაძე.

მატჩები, გოლები, პეტორები

11 ნოემბერს დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი საკუთარ მოედანზე თამაშობდა მოსკოვის „ტორპედოს“ წინააღმდეგ. წარმატება მოსკოველებს ხვდათ 1:0. ეს ერთადერთი ბურთი გაიტანა **სტრელცოვმა.**

კვირის შეხვედრებიდან ყურადღებას იპყრობდა კიევის მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და ცსკა-ს შორის. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

არც ბაშაკენტის „პახტაკორისა“ და ლუგანსკის „ზარიას“ გუნდებს შეხვედრაში გაუტანიათ ბურთი — ფრე.

მძაფრი გამოდგა შეხვედრა ბაქოში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი „ნეფტიანიკი“ და ლიუბერცა ჯგუფის წარმომადგენელი მინსკის „დინამო“. ერთადერთმა გოლმა, რომლის ავტორი ბანიშევსკი იყო, წარმატება ბაქოელებს მოუტანა.

შვიდი ბურთი იქნა გატანილი ერევნის „არარატისა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ მატჩში. წარმატება „არარატს“ ხვდა 4:3.

მატჩი ოდესაში ადგილობრივ ჩერნომორეცისა“ და „კუიბიშევ „კრილია სოვეტოვის“ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 1:1.

„შახტიორისა“ და „ლოკომოტივ“ მატჩის შედეგია 0:0.

„ევროპა“ — „ბარცელონა“

ბარცელონა ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერი ბარცელონის „ბარსა“ ეწვია ინგლისელ „ევროპას“ ეროვნული ჩემპიონატის ფარგლებში. ინგლისელებმა ანგარიშით 2:1 (1:0) ასპარეზობა ესპანელებს ერევნელ „ბარსა